საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№545 2020 წლის 17 მარტი ქ. თბილისი

საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID -19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოში ახალი კორონავირუსის COVID -19-ის შესაძლო შემთხვევების გავრცელების (ეპიდემია, პანდემია, ეპიდემიური აფეთქება) პრევენციისა და საეჭვო და/ან დადასტურებულ შემთხვევებზე რეაგირების მზადყოფნისათვის, სრულად მობილიზებულ იქნას შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები:

ა) შპს „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“;

ბ) სსიპ - გიორგი აბრამიშვილის სახელობის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი;

გ) სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა.

2. განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების აღსრულების მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით, შერჩეულ დაწესებულებებში განხორციელდეს:

ა) არსებული/მიმდინარე პაციენტების გადაყვანა (დაწესებულების სრულად დაცლა) შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებებში;

და/ან

ბ) მათ ბაზაზე არსებული საწოლფონდის (მ.შ. რეანიმაციული) გაზრდა შესაძლებლობის ფარგლებში და საჭიროების შესაბამისად სამედიცინო საგნების, მასალების, აპარატურისა და მედიკამენტების შესყიდვა;

გ) კორონავირუსის საეჭვო შემთხვევების სამედიცინო მეთვალყურეობის უზრუნველყოფა;

დ) საჭიროების შემთხვევაში, კორონავირუსის დადასტურებული შემთხვევის მართვის უზრუნველყოფა.

3. განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ღონისძიებების აღსრულების მიზნით, შერჩეულ დაწესებულებებს მიეცეს უფლება, საჭირო მომსახურების/საქონლის შესყიდვები განახორციელონ გადაუდებელი აუცილებლობით ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თანხმობით.

4. განკარგულების მეორე პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ

ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილების დანართი N1.7-ითა და „2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №674 დადგენილებით დამტკიცებული „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID-19-ის მართვის“ სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე და ვრცელდება 2020 წლის 2 მარტიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**